საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირის აღიარების შესახებ

1. ზოგადი დებულებები

1.1. სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირის აღიარების წესები (შემდგომში წესები) შემუშავებულია საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) პროფესიული განათლების კომიტეტის მიერ.

1.2. წესები შემუშავებულია "მომსახურებით ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების" (ურუგვაის რაუნდი 1994 წელი) VII მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

1.3. წესები არეგულირებს სხვა ქვეყნის პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული პირის ბაფის მიერ საქართველოში პროფესიონალ ან/და სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებას.

1.4. წესების მიზანია, დაადგინოს სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირის საქართველოში პროფესიონალ ან/და სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარების ძირითადი პრინციპები და პროცედურები.

2. ტერმინების განმარტება

2.1 ამ წესებში გამოყენებულ ტერმინებსა და ცნებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირი - ფიზიკური პირი, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი პროფესიული ორგანიზაციის მიერ აღიარებულია პროფესიონალ ბუღალტრად ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად ან მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნის იდენტურ სერტიფიცირებულ პირად.

პროფესიონალი ბუღალტერი - ფიზიკური პირი, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი პროფესიული ორგანიზაციის მიერ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) განათლების სტანდარტების შესაბამისად სერტიფიცირებული და აღიარებულია პროფესიონალ ბუღალტრად.

სერტიფიცირებული ბუღალტერი - ფიზიკური პირი, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული და აღიარებულია სერტიფიცირებულ ბუღალტრად მის მიერ დადგენილი განათლების სტანდარტების შესაბამისად.

სერტიფიცირებული პირი - ფიზიკური პირი, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის ან სერტიფიცირებული ბუღალტრის საკვალიფიკაციო განათლების სტანდარტების შესაბამისად, მაგრამ მინიჭებული აქვს ფორმით განსხვავებული სტატუსი (მაგ. პროფესიონალი პრაქტიკოსი ბუღალტერი, სერტიფიცირებული პრაქტიკოსი ან/და სხვ).

აღიარების მაძიებელი პირი (მაძიებელი) - სერტიფიცირებული პირი, რომელიც გამოხატავს სურვილს, საქართველოში პროფესიული მომსახურების გასაწევად აღიარებული იყოს პროფესიონალ ბუღალტრად ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად.

პროფესიული მომსახურება - მომსახურება, რომელიც მოითხოვს ბუღალტრულ და მასთან დაკავშირებულ უნარებს, როდესაც აუდიტორი/აუდიტური ფირმა ახორციელებს მომსახურებას საბუღალტრო, აუდიტორული, საგადასახადო, ფინანსური მენეჯმენტის ან ბიზნესსაკონსულტაციო სფეროში.

კომპეტენცია - საკითხთა წყება, რომელთა ჯეროვანი ცოდნა აქვს ვინმეს.

3. <u>აღიარების პრინციპები</u>

3.1 ეს წესები გამოიყენება სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირის საქართველოში პროფესიონალ ბუღალტრად ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად ცალმხრივად აღიაერებისათვის და არ მოიცავს იმ შემთხვევას, როდესაც ბაფსა და სხვა ქვეყნის პროფესიული ორგანიზაციის მიერ თავიანთი სერტიფიცირებული პირების ურთიერთაღიარება ხდება, ორმხრივად გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

3.2 ბაფი სხვა ქვეყნის სერტიფიცირებულ პირს საქართველოში პროფესიონალ ბუღალტრად ან/და სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებს, აღიარების მაძიებელი პირის (შემდეგ მაძიებელი) პირადი განცხადების საფუძველზე.

3.3 აღიარების მიზანია არარეზიდენტი ან/და უცხო ქვეყანაში სერტიფიცირებული რეზიდენტი პირებისათვის:

ა) ისეთივე პრივილეგიების უზრუნველყოფა, როგორი პრივილეგიებითაც სარგებლობენ ბაფის პროფესიონალი ბუღალტრები და სერტიფიცირებული ბუღალტრები;

ბ) საქართველოში აუდიტორული მომსახურების სფეროში საქმიანობის იმ ბარიერების მოხსნა, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს პროფესიულ კვალიფიკაციასთან.

3.4 სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირის კვალიფიკაციის აღიარების კრიტერიუმები არ უნდა აღემატებოდეს იმ კრიტერიუმებს, რაც აუცილებელია მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად და ბაფის მიერ დადგენილია პროფესიული სერტიფიცირებისა და პროფესიონალი ბუღალტრის ან/და სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მინიჭებისათვის.

3.5 სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირის კვალიფიკაციის აღიარება ეფუძნება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილ და ბაფის მიერ აღიარებულ პროფესიული კვალიფიკაციის ძირეულ კომპონენტებს, რომელიც გაერთიანებულია სამ ძირითად სფეროში: განათლება, გამოცდები და გამოცდილება.

3.6 აღიარების პრეტენდენტი უნდა აცნობიერებდეს, რომ მათ შეიძლება მოეთხოვოთ დამატებითი კურსების გავლა, ადგილობრივი გამოცდილების შეძენა და ხელახალი შეფასების მიღება (გამოცდების ჩაბარება) ზოგიერთ ძირითად საგანში.

3.7 ქვეყნის კანონმდებლობით დამკვიდრებული პრაქტიკისა ან/და მარეგულირებელ აქტებში კომპეტენციის გამოსავლენად, მე-6 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა შესაძლოა შეცვლილი იყოს საქართველოში გარკვეული პერიოდის პრაქტიკული მუშაობით.

3.8 "ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ბაფი ვალდებულია პროფესიონალ ბუღალტრად აღიაროს ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყანაში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი

პროფესიული ორგანიზაციის ნამდვილი წევრი ფიზიკური პირი. სხვა შემთხვევაში, ბაფი უფლებამოსილია მოითხოვოს ცოდნის დადასტურება.

4. აღიარების კრიტერიუმები

4.1 სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირის კვალიფიკაციის აღიარებისათვის მაძიებელმა უნდა დაადასტუროს, რომ:

ა) არის IFAC–ის წევრი პროფესიული ორგანიზაციის წევრი;

ბ) IFAC–ის წევრი პროფესიული ორგანიზაციის მიერ აღიარებულია პროფესიონალ ბუღალტრად ან შესატყვისი სტატუსის მქონე სერტიფიცირებულ ბუღალტრად;

გ) გააჩნია საქართველოს ეკონომიკურ გარემოში პროფესიული მომსახურების გაწევის კომპეტენცია.

5. აღიარების პროცედურა

5.1 სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირის კვალიფიკაციის აღიარების საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ბაფის პროფესიული განათლების კომიტეტი.

5.2 ბაფის პროფესიული განათლების კომიტეტი უფლებამოსილია სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირი აღიაროს პროფესიონალ ბუღალტრად ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად.

5.3 მაძიებელი ვალდებულია, პროფესიონალ ბუღალტრად ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებისათვის განცხადებით მიმართოს ბაფის პროფესიული განათლების კომიტეტს.

5.4 მაძიებელმა განცხადებასთან ერთად ბაფის პროფესიული განათლების კომიტეტს უნდა წარუდგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი;

ბ) სხვა ქვეყნის პროფესიული ორგანიზაციის მიერ გაცემული სერტიფიკატის ასლი;

გ) მტკიცებულება სხვა ქვეყნის პროფესიული ორგანიზაციის წევრობის შესახებ, რომელიც შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის პროფესიული ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობა ან ვებგვერდის მისამართი, საიდანაც დასტურდება მაძიებლის წევრობა სხვა ქვეყნის პროფესიულ ორგანიზაციაში;

დ) ინფორმაცია განათლების, გამოცდილებისა და უნარების შესახებ (CV).

5.5 მაძიებელი აღიარების განცხადების განხილვამდე უნდა გახდეს ბაფის ასოცირებული წევრი.

5.6 მაძიებელმა განცხადებაში უნდა დაადასტუროს, რომ:

ა) იცნობს და აღიარებს ბაფის წესდებას და წევრებისადმი დადგენილ მოთხოვნებს:

ბ) პროფესიონალ ბუღალტრად ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარების შემთხვევაში, აცნობიერებს, ბაფის ნამდვილ წევრად გახდომის ვალდებულებას და იმ ფაქტს, რომ აღიარების სერტიფიკატი ბათილდება, პირის მიერ ბაფის წევრობის დაკარგვის შემთხვევაში.

5.7 ბაფის პროფესიული განათლებისა კომიტეტი:

ა) მაძიებლის განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) სწავლობს მაძიებლის სერტიფიკატით დადასტურებული კომპეტენციის შესაბამისობას, ბაფის მიერ პროფესიონალი ბუღალტრის ან სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მისანიჭებლად დადგენილ მოთხოვნებთან;

გ) უფლებამოსილია, თუ ამ მუხლის მე-7 ნაწილის “ბ” პუნქტის მიზნებისათვის ელექტრონული წყაროებიდან ვერ მოიპოვებს სათანადო ინფორმაციას, მაძიებელს მოსთხოვოს ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაცია, სერტიფიკატის გამცემი პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი განათლების პროგრამისა და სასერტიფიკაციო პირობების შესახებ.

5.8 მაძიებლის განცხადების განხილვის შემდეგ, ბაფის პროფესიული განათლების კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მაძიებლის:

ა) პროფესიონალ ბუღალტრად აღიარების შესახებ;

ბ) სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარების შესახებ;

გ) აღიარებაზე უარის თქმის შესახებ;

დ) დამატებითი ინფორმაციის წარდგენის შესახებ;

ე) საქართველოს ეკონომიკურ გარემოში ფუნქციონირებისათვის ბიზნესსამართლისა და საგადასახადო დაბეგვრის საკითხებში გამოცდის ჩაბარების მოთხოვნის შესახებ.

5.9 მაძიებლის განცხადების განხილვის შემდეგ მიღებულ გადაწყვეტილებას ბაფის პროფესიული განათლების კომიტეტი მაძიებელს აცნობებს 2 სამუშაო დღის ვადაში.

5.10 მაძიებელს აღიარების სერტიფიკატი გადაეცემა გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5.11 სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირი ვალდებულია, პროფესიონალ ბუღალტრად ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარების დღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გახდეს ბაფის ნამდვილი წევრი.

6. <u>სპეციალური ნორმები</u>

6.1 პირს არ მოეთხოვება ბიზნესსამართლისა და საგადასახადო დაბეგვრის საკითხებში გამოცდის ჩაბარება, თუ მას აქვს საქართველოში პროფესიული მომსახურების გაწევის ერთ წელზე მეტი ხნის გამოცდილება.

6.2 მაძიებლის აღიარება დასტურდება სერტიფიკატით. აღიარების სერტიფიკატის ესკიზს ქმნის ბაფის პროფესიული განათლების კომიტეტი.

6.3 აღიარებული პროფესიონალი ბუღალტრის და აღიარებული სერტიფიცირებული ბუღალტრის სერტიფიკატის ესკიზი უნდა იყოს განსხვავებული. სერტიფიკატში უნდა აღინიშნოს, რომ:

ა) იგი არის აღიარებითი;

ბ) აღიარება მოხდა სხვა ქვეყნის პროფესიული ორგანიზაციის (მიეთითოს) სერტიფიკატის საფუძველზე; და

გ) ძალამოსილია მფლობელის მიერ ბაფის წევრობის შენარჩუნების პერიოდში.

6.4 პროფესიონალ ბუღალტრად აღიარებული სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირი, განგრძობით სწავლებას ექვემდებარება აღიარების მომდევნო წლიდან.

7. <u>დებულების ძალაში შესვლა</u>

<u>ცვლილება:</u>

პროფესიული განათლების კომიტეტი

23,06,2016 წელი. ოქმი N100